726 ნ/8492

გ ი ლ ო ც ა ვ თ ა ხ ა ლ წ ე ლ ი წ ა დ ს !



ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

726 46

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 1 (306) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის იანვარი

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში, სოციალისტური ერებისა და ეროვნებების მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში საქართველოს სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად **საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოვდეს **ხალხთა მეგობრობის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1972 წლის 29 დეკემბერი.



მ რ ა ვ ა ლ ს დ ა ე ს წ ა რ ი თ !

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲝ! უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთი „სამშობლო“ მოგვასალმებათ და გისურვებთ ახალი, 1973 წლის ბედნიერ შეხვედრას, ჯანმრთელობას, მხნეობას. სამშობლოს სიყვარულისა და დიდების კეთილშობილ გზაზე მავალ ყველა თანამემამულეს, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს მთა-ბარი, მძლეთა-მძლეობა, გამარჯვებათა ზეიმები, შემოქმედებითი შრომის შემართება, დიდება, სიმრავლე, ბარაქა, სიკეთე—ყველას გისურვებთ კეთილშობილ საქმეში წარმატებასა და სამშობლოს სიყვარულში დაუღლელობას, რამეთუ ლიტონი სიყვარული ვერცა სიყვარულსა რგებს და ვერცა მოსიყვარულეს.

დაე, 1973 წელიწადი კეთილი ყოფილიყოს ყველა ქართველისათვის, ყველა მისი მოკეთისათვის, ყველა ადამიანისათვის, ვისაც ჩვენი ერთობა, ძმობა, გამარჯვება ახარებს, ვისაც უყვარს საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი, ვინც ჭეშმარიტი შვილია, სიყრმისა თუ ნაბოლარა, შვილია თავისი ერისა, თავისი ხალხისა, ვინც სულითა და გულით მარად თავის ხალხთან არის დიდი თუ პატარა სახალხო საქმით, რადგან ყველა სასიკეთო საქმე თანაბრად არგებს მამულს, სამშობლოს, ქართველ ხალხს, რომელიც ჭეშმარიტად ბედნიერია გუშინდლითა და დღევანდლით, შთაგონებით აშენებს ხვალინდელ, ნათელ საქართველოს, შეუცდომლად არჩევს ავსაც და კარგსაც, გულით იძოძობს ყველა მოკეთეს განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ოღონდ კი სიკეთის თვალი და გული მოიღოს ძმათა-ძმობის ერთობაში გაერთიანებული ჩვენი ქვეყნისაკენ, ჩვენი სამშობლოსაკენ.

საზოგადოება და „სამშობლო“ ყველაფერს აკეთებდნენ და გააკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნიდან მოშორებით მცხოვრებ თანამემამულეებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ ჩვენს ყოფაზე, კულტურაზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, დასვენებაზე, შთაგონებულ შრომაზე, აღზრდილ მრეწველობასა და გაფურჩქნულ სოფელზე. საქართველოში ბევრი თანამემამულე ჩამოდის. ჩვენში სიამოვნებით უღებენ კარს ყველას, ვისაც ჩამოსვლა უნდა, ყველაფერი კეთდება, რათა ჩამოსული თავს ისე გრძნობდეს, როგორც საკუთარ სახლში, თუმცა ის საკუთარი სახლი შეიძლება საქართველოში არც ჰქონდეს, მაგრამ არა გვგონია თქვენს შორის იყოს თუნდ ერთი ჩვენებური, რომელსაც აქ, საბჭოთა საქართველოში, ჩვენს და თქვენს სამშობლოში, მკეთე, მოყვარე და მეგობარი არ ეგულებოდეს. ქართველი კაცის სახლისა და გულის კარიც ღიაა ყველასათვის, ვინც კეთილი გულით მოდის და ჩვენკენ მოუხარია. მეტსაც ვეტყვით, გამარჯვებული, ბედნიერი, აღზევებული ყოველთვის სულგრძელია — ძველის, გარდასულის, უხეიროსა და უვარგისის გახსენებას არცა სურვილობს, არა. ძველმანებში ქექვა, ჭეშმარიტად გადასაყრელ ძველმანებში ხელისა და თვალის ფათური ძლიერისათვის უცხოა, რამეთუ საბჭოეთის მადლიან ოჯახში გაერთიანებული ქართველი ერი უძლეველია თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

საქართველოში „სამშობლო“ უყვართ და ამ სიყვარულის მიღმა ძალუმად სუნთქავს ქართველი კაცის კეთილშობილი ბუნება, რაიც ყოველთვის იყო ძმათა-ძმობისა, ავკარგიანობისა და კაცური კაცობის თავანკარა სათავე. იმ სათავესთან მდგომი ჩვენი საზოგადოება და „სამშობლო“ გისურვებთ მხნეობას, სამშობლოს სიყვარულს, ქართული ენის არდავიწყებას და მონაგარათათვის მის აუცილებელ გადაცემას, რამეთუ ქართველი ვერცარ იქართველებს, თუ ერთვნულობის უპირველეს ნიშანს — მადლიან ქართულ ენას — დაჰკარგავს. დაე, 1973 წელს უცხოეთში მცხოვრებმა ყველა ქართველის სახლ-ხორცმა, რომელიც ჯერაც ვერა ჰფლობს შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას ენას, დაიწყოს, გააგრძელოს და გააღრმაოს ჩვენი, წინაპართა ენის შესწავლის კეთილშობილი საქმე, ენისა რომელიც არასოდეს ისე მოვლილი და პატივდებული არ ყოფილა საქართველოს არსებობის მანძილზე, როგორადაც დღეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდამეათე წლისთავზეა მოვლილი და ნაპატივები.

ჩვენ გვინახავს თანამემამულეთა მეორე და მესამე თაობის შვილნი, მიგვიღია სიყვარულითა და პატივისცემით როგორც თქვენი მონაგარი, როგორც ჩვენი სისხლ-ხორცი, მაგრამ ის კი დავგვნაბრია, რომ ქართული არა სცოდნია და შუამავლად სხვა ენა გამოუყენებია.

გისურვებთ სამშობლოსთან გაბმული ყველა სიმის აჟღერებას, მოხუცების მხნეობას, ახალგაზრდების შრომის სიყვარულს, ბალღების ლაღობას და საქართველოში ჩამოსვლას. მოდით, გვნახეთ, მოვლეთ თბილისი, ქუთაისი, თელავი, გორი, მახარაძე, ზუგდიდი, ბათუმი, სოხუმი, მოვლეთ საბჭოთა საქართველო — მხნე, გამრჯე, მოსიყვარულე, მშრომელი, ბედნიერი, — მოვლეთ და იწამეთ ჩვენი ზრუნვა და შრომა იმისა, რომ ყველა ქართველი ქართველობდეს, მამულს ემსახურებოდეს ძალითა და ცოდნით, რაც მას გააჩნია და შეუძლია. წარსულის პატივისცემა სულაც არ ნიშნავს მისით სიცოცხლესა და არსებობას — წარსულის ძალა ის არის, რაც აწმყოსა და მომავალს ემსახურება. უაწმყოოდ, უმომავლოდ არარა არის წარსულის ფასი. ჩვენ კი საბჭოეთის ძმურ ოჯახში გაერთიანებული ქართველი ერი საკუთარ ბედნიერებას ვაშენებთ დღეს და ავაშენებთ ხვალ, წინსწედვა და არა უკანბრუნება არის ერის ბედნიერების თაყმდები. ვინც დღევანდელობას დაჰკარგავს, ვინც ხვალეს ვერ განჭვრეტს და წარსულითა იცხოვრებს, ის ვერაფერს მისცემს ვერც თავსა და ვერც სამშობლოს.

მამულიშვილნო, მამულიშვილთა ქალნო და ასულნო, სადაც უნდა იყოთ, გწამდეთ მარად და იცოდეთ, რომ საქართველოში არის სასახელო ქართველთა საზოგადოება, ქართველი ერის სასიქადულო შვილთა საკრებულო, რომელიც ფიქრობს, ზრუნავს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კეთილი იყოს თქვენი სიბერეც, ახალგაზრდობაცა და ბავშობაც, რომ უცხოეთში მცხოვრებ ყველა თანამემამულეს სამშობლოსთან, საქართველოსთან. თქვენ რომ წრფელი გულით გისურვებთ 1972 წლის კეთილად გასტუმრებას და 1973 წლის ბედნიერ შემხვედრას.

მრავალს დაეწაროთ!

მუხრან მაჭავარიანი

საქართველო

ვისაც უყვარს საკუთარი
სამშობლო და მინდორ-ველი,
ვინც არ უნდა იყოს იგი —
ფინელი თუ ინდოელი,
ვინც გელვია,
ვინც შუშაა,
ვინც სიმართლის მძებნელია,
საქართველო არ უყვარდეს —
ყოვლად შეუძლებელია!
კიდევ უფრო,
კიდევ უფრო
დღემინდე,
საქართველოვ,

კიდევ უფრო ბევრი შვილი
გამოგწარდე სასახელო,
კიდევ ვრთი რუსთაველი
კიდევ ვრთხელ აამღერო,
შენც იხარო,
ჩვენც გვაჭარო,
იხარო და გამაჭარო! —
გეფიცები,
საქართველოვ,
შეგიძლია,
საქართველოვ,
გაგიმარჯოს,
საქართველოვ!

დიდება გმირებს!

როცა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილე, ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდი ჯგუფი დაჯილდოდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო რჩეულთა შორის რჩეულებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

საქართველოდან სოციალისტური შრომის გმირები გახდნენ წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის ტრაქტორისტთა ბრიგადის ხელმძღვანელი **ნიკოლოზ მელიქიშვილი**, წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის კოლმეურნე **თინა ბანბურია** და გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობის მეხილეობის ბრიგადის ხელმძღვანელი **შარიამ ბიწლაძე**.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულებით ჩაის, მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში მოპოვებული წარმატებებისათვის და მოსავლის აღების დროს გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის საქართველოს ხს რესპუბლიკაში დაჯილდოვდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკები: ლენინის ორდენით — 47 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 552 კაცი; „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 460 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 210 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 227 კაცი.

გაზეთი „სამშობლო“ მხურვალედ ულოცავს დიდ ჯილდოებს ამაგდარ ადამიანებს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, შრომითს შემართებას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ქრონიკა

სასიხარულო ცნობა მოვიდა საქართველოში. 28 დეკემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1972 წლის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი მიანიჭა აკადემიკოს **ნიკოლოზ მუსხელიშვილს** მათემატიკისა და მექანიკის დარგში დიდი მიღწევებისათვის. მიხეილ ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოა და ყოველწლიურად ენიჭება ერთ საბჭოთა და ერთ უცხოელ მეცნიერს.

• • •

ლიტერატურისა და ხელოვნების საბჭოთა მოღვაწეებს მიენიჭოთ 1970-1971 წლების ნერუს სახელობის პრემიის ლაურეატობის წოდება — გადაწყვიტა კომიტეტმა, რომლის საპატიო თავმჯდომარეები არიან: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსეი კოსიგინი**, ინდოეთის მხრივ — ინდოეთის პრემიერ-მინისტრი **ინდირა განდი**.

დაჯილდოებულთა შორის არიან მწერალი **ირაკლი აბაშიძე** და კომპოზიტორი **შალვა მშველიძე**. გამოჩენილ ქართველ პოეტს დიდი ჯილდო მიენიჭა ლექსებისათვის ინდოეთზე და წიგნისათვის „ინდოეთის გზებზე“, კომპოზიტორს კი პატივი დასდეს „ინდური სუიტისათვის“ და ინდოეთის მუსიკალური ფოლკლორის შესახებ გამოქვეყნებული ნარკვევების სერიისათვის.

სულითა და გულით ვულოცავთ სახელოვან ლაურეატებს დიდ წარმატებებს. ვუსურვებთ, რომ ახალი, 1973 წელი მათი შემოქმედების კვლავაც მრავალგზის აღიარების წელიწადი ყოფილიყოს!

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა 27 და 28 დეკემბერს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიც დაამტკიცა.

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ საქართველოს სსრ რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის **ფარნაოზ ანანიაშვილის** წერილს.

ჩვენი ბედნიერებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ფართო პროგრამა. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წლითი-წლობით იზრდება მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა ქსელი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1973 წლის ბიუჯეტი, რომელიც ამას წინათ მიიღო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიამ, სავსებით შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით ჩვენი რესპუბლიკისათვის გათვალისწინებულ ამოცანებს.

ბიუჯეტის საერთო მოცულობის 42,8 პროცენტი მოხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, რაც წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26 პროცენტით მეტია.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე გაღებული ხარჯების ოდენობა 1972 წელთან შედარებით იზრდება 26,2 პროცენტით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება სოფელს.

დიდძალი სახსრები დაიხარჯება სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებებზე. ამ დანიშნულებით 1965 წელს დახარჯული 130 მილიონი მანეთი 1973 წლისათვის იზრდება 251 მილიონ მანეთამდე, რაც საფუძვლად უდევს საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონის ზრდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, მათი როლის ამაღლება ამ პროდუქციით მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უზრუნველყოფის საქმეში.

სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის სავატომობილო გზები. 1973 წლის ბიუჯეტით 59 მილიონი მანეთი დაიხარჯება სავატომობილო გზების მშენებლობაზე. ეს კი 21 მილიონი მანეთით აღემატება გასული ხუთწლედის შესაბამის პერიოდში ამ დანიშნულებით გაღებულ სახსრებს.

დიდად გაუმჯობესდა ქალაქის ელექტრო-ტრანსპორტის მუშაობა, მწყობრში ჩადგა ტროლეიბუსების ახალი ბაზები რუსთავსა და გორში, ჭიათურასა და ხობუმში. თბილისი თავისი მეტროპოლიტენით მეოთხე ქალაქია ჩვენს ქვეყანაში. მნიშვნელოვანი სახსრები მოხმარდება მეტროპოლიტენის ქსელის შემდგომ განვითარებას.

ყრილობის მიერ დასახული ფართო პროგრამის განსახორციელებლად 1973 წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება გაიზრდება წინა წელთან შედარებით 45 მილიონი მანეთით და შეადგენს 834 მილიონ მანეთს. რაც იმას ნიშნავს, რომ 10 წლის მანძილზე — 1963 წელთან შედარებით ერთიორად და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა სახსრები სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ახალი მოწყობილობითა და ინვენტარით აღჭურვის ღონისძიებებზე. 40 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება ახალი სკოლების, ინტერნატებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მშენებლობაზე, 16,5 მილიონი მანეთია გათვალისწინებული აღნიშნული დაწესებულებების შენობებისა და ნაგებობების კაპიტალურ რემონტზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები დაიხარჯება ამ დანიშნულებით ადგილობრივი საბჭოების ჭარბი შემოსავლებიდან.

პარტიის დირექტივების შესაბამისად 1972 წლის 1 სექტემბრიდან გატარდა ღონისძიების, მასწავლებლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის მომატების დიდი ღონისძიება. მოემატათ აგრეთვე სტიპენდიები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს. 1973 წელში გათვალისწინებულია უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების კონტინგენტის მნიშვნელოვანი გაზრდა.

აღნიშნული დიდი ღონისძიებები მთლიანად არის ასახული 1973 წლის ბიუჯეტში და უზრუნველყოფილი იქნება მათი შეუფერხებელი დაფინანსება.

დიდი ყურადღება ეთმობა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს, გაზრდილია საპენსიო უზრუნველყოფის მინიმუმი. სახიფათო ამიგნებანი ინვალიდთა სახლების შენახვაზე, ჭვრილშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარებაზე, აგრეთვე პენსიებზე 1973 წელს 1972 წლის გეგმასთან შედარებით იზრდება 11,6 მილიონი მანეთით.

გარდა ამისა, ამ ღონისძიებებზე კოლმეურნეობის წევრებისა და მათი ოჯახებისათვის საპენსიო უზრუნველყოფის და დახმარების საკავშირო ფონდიდან გამოიყოფა 90 მილიონ მანეთზე მეტი.

საგრძნობლად იზრდება შეღავათები გადასახადებში. კერძოდ — 1972 წლის 1 იანვრიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან მეურნეობანი, რომელთა შემადგენლობაში შედიან I და II ჯგუფის ინვალიდები, თუ ამ მეურნეობაში არ ირიცხებიან შრომისუნარიანები, ხოლო თუ მეურნეობაში ირიცხებიან შრომისუნარიანი წევრები, გადასახადი საგანგებოდ მცირდება. გაუქმებულია პირუტყვის მფლობელებისაგან გამოსაღების გადახდევინება და სხვა.

ამ ღონისძიებათა შედეგად, რომელთაც პარტია ახორციელებს მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, ხისტემატურად მცირდება მოსახლეობიდან სახელმწიფო გადასახადების ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობაში და 1973 წლის ბიუჯეტში მხოლოდ 7,1 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე გამოიყოფა 650 მილიონი მანეთი, საიდანაც ნახევარზე მეტი ბიუჯეტის ხახსრებიდან დაფინანსდება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1973 წლის ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს შემოსავლები სოციალისტური საწარმოებისაგან განსაზღვრულია ერთი მილიარდ 558 მილიონი მანეთით და ითვალისწინებს საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში გაერთიანებული ქართველი ერის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ ამაღლებას, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით დასახულ ყველა ღონისძიებათა შეუფერხებელ დაფინანსებას. ეს არის ქართველი ხალხის, საქართველოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ერთიანი ნება-სურვილი, რამაც დღეს უკვე კანონის ძალა მოიპოვა.



გემოწმინდა ღვინით გთავაზობთ

უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს გულოცავ ახალ წელიწადს და გუსურვებ, არ დასცხრომოდეთ მამულისა და ქართველი კაცის სიყვარული.

ახალი წლის სადღეგრძელოს კახელი კაცი მარანში დაყენებული გემოწმინდა ღვინით გთავაზობთ. გილოცავთ ახალ წელიწადს და გისურვებთ არ გაგნელებოდეთ სამშობლოს სიყვარული და ისევე მაწიერი ყოფილიყოს, როგორც ჩვენი პურ-ღვინო.

„სამშობლოს“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ვეღისციხელი გლეხკაცის გიორგი ბურდულაძის წერილი, რომლითაც ბერიკაცი თავის შვილს ვასიას, არგენტინაში რომ ცხოვრობს, თავის გულისთქმას ატყობინებდა და შინ დაბრუნებას სთხოვდა. მამა ეხლაც ელის შვილის პასუხს, შვილის მოლოდინით ქანცგაწყვეტილი დედა კი... ეხლახან გარდაიცვალა.

მამულის დიდი სიყვარული დაგკვებებოდეთ, ქართველებო!

მიხეილ მექვეთრიშვილი,

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

გილოცავთ ახალ წელიწადს!

იამაყეთ ჩვენთან ერთად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი მიქელაძე, რომელსაც ცოტა ხნის წინათ დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა, საახალწლოდ ესაუბრება ჩვენი გაზეთის მკითხველებს. „სამშობლო" სარგებლობს შემთხვევით და თავის მხრივ დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებასა და ახალ წარმატებებს უსურვებს სახელოვან მამულიშვილს.



თანამემამულენო!

მინდა მოგილოცოთ ახალი, 1973 წელი, გისურვოთ ყოველივე კარგი.

ახალ წელიწადს საქართველო დიდი საწარმოო და შემოქმედებითი აღმავლობით შეხვდა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული ქართველი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისთვის. საქართველო დღეს არსებითად სამშენებლო მოედანს წარმოადგენს, რომელზედაც გაშლილია ისეთი დიდი და წარმტაცი ობიექტების მშენებლობა, როგორიც არის ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგური, ჭინვალის ჰიდროტექნიკური კვანძი. არ შემიძლია არ გაუწყოთ, რომ მდინარე არაგვზე ჩვენს დედაქალაქთან ახლოს ამ რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობის განხორციელება ერთდროულად ზრდის ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგიით მომარაგებას, აუმჯობესებს, თბილისის სასმელი წყლით მომარაგებას და უზრუნველყოფს თბილისის ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს სარწყავი წყლით.

თანამემამულენო! მე მინდა, რომ თქვენ, სამშობლოს დაშორებული მამულიშვილნი, დიდი სიყვარულის გრძნობით განიმსჭვალოთ ყოველივე იმისადმი, რითაც ჩვენ აღტაცებულნი ვართ.

მჯერა, რომ ამ ჩემს მცირე მომართვას აღიქვამთ, როგორც საბჭოთა საქართველოს ინტელიგენტის გულწრფელ მოწოდებას, მიმართულს იქითკენ, რათა თქვენ ისეთივე სიამაყის და სულიერი აღმავლობის გრძნობით განიცადოთ ის, რაც გაკეთდა, კეთდება და გაკეთდება ქართული ერის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გასამრავლებლად.

ვისურვებდი...



მრავალ ბედნიერ წელიწადს ვისურვებდი!

ვისურვებდი: მკლავი არ დამძლოდეს, თვალი არ დამჩლუნგებოდეს. ყოველთვის მხნედ ვიყო, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მუშა მერქვას, ელმავლის კაბინებს ვაწყობდე. ჩვენმა ფოლადის რაშებმა კიდევ და კიდევ ირბინონ ამ კეთილ დედამიწაზე.

თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანას ოცი წელიწადი შევწირე. მე-ამაყება ეს დიდი საწარმო, რომელმაც კაცად მაქცია, საქვეყნო საქმეებში გამრია, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. აქ შეაფასეს ლენინის ორდენით ჩემი შრომა. მგონი მეც ვეამაყები ქარხანას.

ვისურვებდი: ერთმეორის იმედი გვქონოდეს მუდამ.

ვისურვებდი: ჩემს საქართველოს ყოველთვის ბედნიერი ახალი წელიწადი დასდგომოდეს!

გურამ ჩადუნელი,
თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალი

გვლოცავთ და გაკურთხებთ



ჩემო სულიერო შვილნო! მიიღეთ ჩემი უგულითადესი მოლოცვა და კეთილი სურვილები. გლოცავთ და გაკურთხებთ: განამრავლოს უფალმა დღენი და ჟამნი ცხოვრებისა თქვენისანი და შემწე და მფარველ გყოთ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა.

მრწამს, რომ თავისი ქვეყნის გარეთ მყოფი ქართველი კაცის გულში არ ჩაქრება სამშობლოსადმი სიყვარულის უწმინდესი გრძნობა. სულიერი სამწყსოსადმი ჩემი მწყემსთმთავრული მოვალეობის ღრმა შეგნებით ვისურვებ, სხვადასხვა მიზეზისა გამო უცხოთ მყოფი ყველა ქართველი მშობლიურ მამულში დავნებულიყოს. მარად მოსიყვარულე საქართველო კი თავის სისხლხორცეულთ არ დავიწუებს არცა ოდეს, რამეთუ მშობელს შვილი თვისი არ ავიწუდება!

დაგვიწუალობე, წელო ახალო, ქართული ფუძე, ბერი მაღალი!

დე, ეს ჩემი მოლოცვა იყოს თქვენი კეთილი მეკვლე.

მრავალჟამიერ გებედნიეროთ! მრავალჟამიერ გიცოცხლოთ სამშობლო!

დავით V,
უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

კეთილშობილ ახალ წელიწადს გისურვებთ!



ეს ჩემი გულითადი მილოცვის სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, მინდა შორეულ მამულიშვილთ ვაწვდინო!. მათ, ვისაც ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი გულთ აკლიათ, მისი სიშორე უმძიმთ!.. ვიცი, რომ ეს მწარე გრძნობაა. ეროვნულ ობლობას უდრის!.. განსაკუთრებით ძველისა და ახალი წლის მიჯნაზე, როცა ყველა, თავის სამშობლოში მყოფი ზეიმობს, მომავალს იმედიანად შეჰხარის!

ჩვენთან დარია, მეგობრობის კვლავ ახალი აღმაფრენა.

დიდებული წელიწადი გვიდგება! ახალი წლის ზღვარზე სანატრელიც ბევრი გვაქვს და ნაამაგარიც!


გისურვებთ კეთილშობილ ახალ წელიწადს!.. დავ, თქვენს იმედსა და ოცნებას კვლავ საქართველო ერქვას სახელად!

რა არის მანძილი, თუ გული გულობს? თუ თვალდახუჭულთაც საქართველო გიდგათ თვალწინ?!

ახალი წელიწადი დაიწყო. დრო მიდის... ჩვენ ერთმანეთი გვახსოვს მარადჟამს!

ლევან გოთუა

ქართველნო!



გარასოდეს ისეთი ძვირფასი და სანუკვარი არ არის ადამიანისათვის თავისი ქვეყანა, სამშობლო, როგორადაც მაშინ, როცა მას დრო და ჟამი ეძალება, ასაკი თავისას იქმს... მე არავის შევეცილები სამშობლოს სიყვარულში, ნეტამც არავინ დაღლილიყოს მის უანგარო სამსახურში, ოღონდ იმას კი ვიტყვი, რომ ერთი იმათთაგანი ვარ, ვინც ადამიანის ჯანღონეს, მრთელობასა და სიკეთეს ემსახურებოდა თავისი დღე და მოსწრება, ვისთვისაც დღე-ღამე ერთი იყო კაცისათვის კაცურ სამსახურში, ვინც არ დაღლილა და ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე არ დაიღლება თავისი ერისთვის გაწეულ სასიკეთო საქმეში.

ვიცი, თანამემამულენო, თქვენს შორის ბევრია ჩემი ხნისა და ასაკის ადამიანი, ვიცი, რომ თქვენგან ბევრს არ ხვდა ბედნიერება თავისი ერისა და ქვეყნის უანგარო სამსახურისა — არ ეღირსა კაცურ-კაცობის ეს უდიდესი ბედნიერება, მაგრამ სამშობლოსადმი თქვენს სიყვარულში ეჭვი არ მეპარება.

რას გისურვებთ ამ ახალ, 1973 წლის დამდეგს? ექიმი არ დაგჭირებოდეთ, როგორც იტყვიან — ჯვარი გწეროდეთ! შვილები გეცოცხლოთ, შვილიშვილების ალერსი არ მოგკლებოდეთ, მშვიდი ძილი, ტკბილი სიზმარი და სამშობლოს სიყვარული ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი.

კიდევ რა? სიკეთე გეთესოთ, სიყვარული მოგემკათ სადაც კი ხელი მიგიწვდებათ, ბუტიაობა დავიწუებოდეთ და გეწამოთ, ნამდვილად გეწამოთ, რომ საქართველო არასოდეს ისეთი ბედნიერი არ ყოფილა, როგორადაც დღეს არის — ამას გეუბნებათ კონსტანტინე ერისთავი, 64 წელს მიღწეული ქართველი კაცი. თუ გნებავთ აკადემიკოსიც.

იცოცხლეთ უეჭიმოდ!

კონსტანტინე ერისთავი

თბილისი. „სამშობლოს" რედაქციას



გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ყოველივე სიკეთე და ბედნიერება უსურვოთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც სამშობლოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ და რომელთათვისაც ისევე ძვირფასია ჩვენი სანუკვარი საქართველო, როგორადაც ჩვენთვის — საბჭოთა მოქალაქეებისათვის, ვინც ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობთ, გულითა და სულით კი ყოველთვის თბილისთან ვართ.

კეთილ გარჯასა და ბედნიერ ჯანმრთელობას გისურვებთ როგორც თქვენს საშვილიშვილო საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში.

პატივისცემით ვახტანგ ნადირაძე,
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.
კიევი, 1972 წლის 31 დეკემბერი.

იცოცხლეთ, იგედნიერეთ!

ყოველი ახალი წელიწადი ახალი ფურცელია ჩვენი ცხოვრების მატიანეში. დღეს, როცა სიხარულით შევხვდით მის მობრძანებას და ახალ გამარჯვებებს ვპირდებით სამშობლოს, არც ძველ წელიწადს ვივიწყებთ. ყველაზე მეტად მაინც ტკბილად მოსაგონარი წუთები გვახსენდება. პირადად ჩემთვის განვლილი 1972 წელი ბედნიერი წელიწადი იყო — ამ წელს ნდობა გამომიცხადეს — მომანიჭეს ლენინის სახელობის სტიპენდიატობა და ამავე წელს ჩემი ცხოვრება დავუკავშირე ექიმ თემურ კალანდაძეს.

ძვირფასო თანამემამულენო! გეწლოცავთ 1973 წლის მობრძანებას, თქვენ,



ვინც საქართველოდან ესე შორს ასწიეთ საქართველოს დიდების სადღეგრძელო, თქვენ, რომლებიც არ ივიწყებთ დედაენასა და ქართულ ადათ-წესებს, გისურვებთ დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს...

მადონა კალანდაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, ლენინის სახელობის სტიპენდიატი.

ჩვენო ტოლებო!



ძვირფასო თანამემამულენო, ჩვენო ტოლ-სწორნო, ქართველო ახალგაზრდებო! მხურვალედ მოგესალმებით მზიური საქართველოდან ტოლ-სწორთა სახელით! გილოცავთ ახალი — 1973 წლის დადგომას! ბედნიერი და ხელოვანიანი ყოფილიყოს თქვენთვის ეს წელიწადი. გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას სწავლასა და სამშობლოს სიყვარულში. სადაც უნდა იყოთ, გახსოვდეთ, რომ ხართ შვილნი საქართველოსი, არ დაგვიწყებოდეთ ენა მამათა, ენა ქართული, ენა რუსთველისა.

თქვენი სწავლითა და წარმატებებით გესახელებინოთ დედა-სამშობლო.

თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე **ლია მაისაშვილი.**


მარად ცაროგდეს

პრემიერა

ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა 4 დეკემბერს უჩვენა **სულხან ნასიძის** (გლიუკის მოტივების მიხედვით) ბალეტის პრემიერა **„ორფეოსი და ევრიდიკა“.**

ლიბრეტოს ავტორი და სპექტაკლის დამდგმელია ბალეტის დიდოსტატის ვახტანგ ჭაბუკიანის მოწაფე, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ზურაბ კიკალეიშვილი.** მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ივანე ასკურავამ,** დირიჟორობდა **თამაზ ჭაფარიძე.** მთავარ როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ირინე ჭანდიერი** და **ვლადიმერ ჭულუხიძე.**

პრემიერა თბილისელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.



ევრიდიკა — ირინე ჭანდიერი, ორფეოსი — ვლადიმერ ჭულუხიძე.

ტკბილად დავიბერდით!

ჩვენში, საქართველოში, ბევრნაირი კარგი საახალწლო დღოცვა იციან — „მრავალს დაესწარით“, „გილოცავთ ახალ წელიწადს“, „ტკბილად დაგვიბერდით“... ამ უკანასკნელს გოზინაყს ან ალვახაზს მიაყოლებენ ხოლმე. მე არც გოზინაყს გიგზავნით, არცა ალვახაზს — მე, ჭართველმა კომპოზიტორმა, დედამ და ბებიამ მუსიკით მინდა დაგლოცოთ, ძვირფასო თანამემამულენო, სამშობლოს ჰანგი მინდა მოგაწვდინოთ შორეთში, გისურვოთ ყოველივე კეთილი, სითბო და სიყვარული სამშობლოსი, საიდანაც მოყვარე შეიძლება ვერ ჩამოგივიდეთ, ვერც ნათესავი და სიყრმის ტოლ-სწორი, მუსიკამ კი მოაღწიოს ყველგან, სადაც უნდა იყოთ. მოაღწიოს ჭართულმა მელოდიამ, გულზე მოგილამუნოთ, მოგითბოთ და მოგისიყვარულოთ, გაგახსენოთ თქვენი ველი, მთა-ბარი, ტყე-ველე, სოფელი, ორღობე, ბაღი და ვენახი, ჭალაჭი, უბანი, ჭუჩა და სახლი, რომელიც, შესაძლოა, აღარც იდგეს ძველებურად, თქვენს გულში კი სამარადჟამოდ იყოს შენახული როგორც სამშობლოსთან დამაკავშირებელი ძარღვი...



ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ ჩემს თანამემამულეებს ახალ, 1973-ში დავუწერდი ისეთ სიმღერას, ისეთ მელოდიას ვუძღვნიდი, რაც სამარადუამოდ აღადგენდა, არა, აახმიანებდა საქართველოსთან თქვენი მარადიული კავშირის ხიმს.

გისურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობას, ბედნიერ შვილებს, მამულის სიყვარულით დაუღლელობას, ჩემს თავს კი სათქვენო სიმღერის დაწერას.

ახალგაზრდებო, იხარეთ დიდხანს, თქვენ კი, დედებო, მამებო, ბებიებო და პაპებო, ტკბილად დაგვიბერდით!

მერი დავითაშვილი

ახალი წლის მიჯნაზე

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პრო. ლეონ (გუგული) ყიფიანი უპასუხებს ჩვენს კორესპონდენტს შეკითხვებზე.

● ჩვენს გაზეთში ბევრჯერ დაწერილა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებსა და მათ საშემსრულებლო ოსტატობაზე. შესაძლოა, ჩვენი მკითხველები დასწრებიან კიდეც მათს საგასტროლო კონცერტებს. ამდენი მოგზაურობის შემდეგ, ცხადია, ქართული კულტურის დესპანები თაყვანისმცემლებს შეიძენდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. თუ შეიძლება, ორი სიტყვით გადმოგვცეთ ამ მოგზაურობის ამბავი.

— ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობის კეთილშობილ საქმეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია. ჩვენი კოლექტივები სიმღერითა და ცეკვით იკვალავენ დიადი მეგობრობის გზას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხთა გულისკენ. რამდენი ქვეყნის საზღვარი გადაულახავთ ჭართველ მსახიობებს — და ყველგან სავსე დარბაზი, ოვაციები, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე მეგობრები დახვედრიათ. სიმღერას ხომ თარგმნა არ სჭირდება. მით უფრო, თუ ის ხალხური მელოდიებით სუნთქავს. სწორედ ეს ეროვნული კოლორიტი, რაც საფუძველია ჩვენი კოლექტივების მრავალფეროვანი რეპერტუარისა, ხიბლავს და იზიდავს მაყურებელს. სიმღერამ დაამეგობრა ჩვენი მსახიობები სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა გემოვნებისა თუ შეხედულებების ხალხებთან.

ამ სააბალწლო დღეებში უამრავი მოსალოცი ბარათი მოგვდის საზღვარგარეთიდან თუ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, დემოკრატიული ქვეყნების კულტურის სამინისტროებიდან.

— ბედნიერ ახალ წელიწადს გისურვებთ! სიხარული და ბედნიერება, შემოქმედებითი წარმატებები იყოს მარად თქვენი თანამგზავრი, — გვილოცავს ამერიკელი მომღერალი დინ რიდი.

— ფეხბედნიერი იყოს ახალი, 1973 წელი თქვენთვის, მეგობრებო! მომავალ შეხვედრამდე— „პერუს ოქროს ხმის“ — მარიო გენსოლენისა და მრავალ სხვათა მოლოცვა თუ მიწვევა მოჰყვება ახალ წელიწადს.

ჩვენთან კონცერტებით ბევრი მსახიობი და ანსამბლი ჩამოდის საზღვარგარეთიდან თუ მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

ეხლახან ამერიკიდან გვეწვია ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ჯორჯ ბალანჩინი (ბალანჩივაძე) თავისი განთქმული სბალეტო დასით — „ნიუ-იორკ სიტი ბალეტით“. ეს მისი მეორე სტუმრობა იყო ჩვენში. შემდეგ ვუმასპინძლეთ დემოკრატიული ქვეყნების საესტრადო ანსამბლებს, მოსკოვის სიმფონიურ ორკესტრს კირილ კონდრაშინის ხელმძღვანელობით, პიატნიცკის სახელობის გუნდსა და სხვას. კლასიკური მუსიკის მოყვარულნი კიდევ ერთხელ მოიხიბლნენ დავით ოისტრახის, სვიატოსლავ რიხტერის, მსტისლავ როსტროპოვიჩის საშემსრულებლო ოსტატობით.

● როგორ გამოეხმაურნენ ფილარმონიის მსახიობები საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეო თარიღს? სად გაუთენდათ ახალი წელიწადი, საგასტროლო ბილიკებზე თუ შინ?

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე, რომელიც კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა, 15 რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს 240-კაციანმა კოლექტივმაც მიიღო მონაწილეობა.

ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნამდე კი ფილარმონიის ყველა შემოქმედებითი კოლექტივი — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ერისთავი და ანსამბლი ანზორ კავსაძის, სახელმწიფო კაპელა გურამ ბაქრაძის, კამერული ორკესტრი მარინე იაშვილისა და იგორ პოლიტკოვსკის, კვარტეტი გიორგი ბარნაბიშვილის, ჭალათა ტრიო მარინე მდივნის, ახალგაზრდა მსახიობთა მინიატურების თეატრი თენგიზ ჩანტლაძის ხელმძღვანელობით, საესტრადო კოლექტივები: „ორერა“, „რეროო“, „იველია“, „დიელო“, „ციცინათელა“, „ლალე“ და სხვანი — რამდენიმე თვის მანძილზე საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ჭალაჭებსა და რაიონებში მართავდნენ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კონცერტებს. ეს კონცერტები, როგორც პრესაში აღინიშნა, ყველგან დიდ მოწონებას იმსახურებდა.

ახალი წლისათვის კი ყველამ თავის სამშობლოს მოაშურა და 1973 წელს საკუთარ ჰერქვეშ შეხვდნენ.


● მომავალ გეგმებზე რას გვეტყოდით?

ახალი წელიწადი მუდამ ახალი მიზნების, ახალი გეგმების სათავეა, ჩვენც არაერთი ახალი საგასტროლო კონცერტი გვაქვს დასახული ქვეყნის შიგნით თუ გარეთ.

მრავალი მიწვევა მივიღეთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან: საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ინგლისს ეწვევა; ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და კამერული ორკესტრი სკანდინავიის ქვეყნებში გამართავენ კონცერტებს; „ორერა“ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაშია მიწვეული; „ორერო“ ახალი პროგრამით იმოგზაურებს საბჭოთა კავშირისა და აფრიკის ქვეყნებში; „ივერია“ — დასავლეთ გერმანიაში...

● და, ბოლოს, მოგმართავთ ტრადიციული კითხვით — რას უსურვებდით ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებს?

ქვეყნის რომელ კუთხეშიც უნდა იყვნენ ჩვენი თვისტომნი, კვლავაც მოხიბლავს მრავალი ქვეყნის მსმენელებს მეჯოლინე ლიანა ისაკაძის საშემსრულებლო ოსტატობა;





კვლავაც გაუმართავენ მხურვალე ოვაციებს საესტრადო ანსამბლ „ორერას“ და მის ხელმძღვანელს რობერტ ბარძიმაშვილს;

კვლავაც აღაფრთოვანებს მილიონობით მაყურებელს ჭართული ცეკვები.



ბედნიერი და ხელხვავიანი ყოფილიყოს მათთვის ახალი, 1973 წელი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამემამულენი ახალ წელიწადს პირველ სასმისს, მამა-პაპათა ადათ-წესისამებრ, სამშობლოს სადიდებელ სადღეგრძელოს მიუძღვნიდნენ. ყოველი კეთილი სურვილი ასრულებოდეთ!

ხაუბარი ჩაიწერა

ნადია მეგალიშვილმა

ქართული ხელოვნებაა!



ქვეყნის პირველი რეჟისორი

ტუ-104 კოხტად დასვეს ჭარ- თონეში ჩაკრულ ლავაშივით და- აკრეს მიწას. მერე სადგურისა- კენ გააგორეს ტაატით. ლენინ- გრადის სადგურს ჩვენი, თბილი- სის მესამე სჯობია სიდიდით, კე- თილმოწყობით, შთანაფიქრით, ხიასლით... ლენინგრადისა უყ- ველდღიური მოვლით ჩვენსაზე უკეთესია.

ტაქსის მძღოლმა სიამოვნებით ამიმგზავრა. ასაკით თავქვედაშვე- ბული კაცი იყო, სამოცამდე მიტანებული ლენინგრადელი, ამათთაგანი, უველაფერი რომ ინტერესებთ ჭეუნად და ბევ- რიც იცით, ჯერ თბილისური ამინდი მკითხა, მერე სიახლენი.

— გოგორიატ, უ ვას ზდოროვო, — ამბობენო, ძალიან კარ- გად მიდისო თქვენში საქმე.

— ზდოროვო, — მივუგე მე. „უნდა მასიამოვნოს, რომ ამ სია- მოვნებით გზის დასასრულს თვი- თონაც ხასიამოვნები დარჩეს — ვალს გადახდა უნდაო. ესენი უველგან ერთნაირნი არიან".

ლენინრადისეული ახალბედობა რომ შემატყო, გიდობა ითავა.

— აქედან მოსკოვის გამზირი იწყება, 18 კილომეტრი სიგრ- ძე აქვს. ომამდე აქ კართოფი- ლი მოგვყავდა. განაპირა უბნები, ორმოცდაცამეტის შემდეგ არის აგებული, ცოტა ვერ უხდება ლენინგრადს, აი, ჩერმენის გამარ- ჯვების ჭიშკრის შემდეგ კი ომის- შემდგომი კვარტალებია, კეთი- ლად ნაგები საცხოვრებელი სახ- ლებით, ძველი ლენინგრადის ან- სამბლს რომ ერწყმის. ამ გამა- რჯვების მოედანზე ომის მსხვე- რპლთა სამარადჟამო მოსაგონ- რად ჩაფიქრებულია ვეება არ- ქიტექტურული ანსამბლი, რაზეც ლენინგრადელებმა რამდენიმე მი- ლიონი მანეთი შევაგროვეთ. ეს ცათამბჯენები რომ შენდება, ახალდაქორწინებულთათვის გან- კუთვნილი ბინებით იქნებაო გა- მართული. იმ სახლებს რომ შე- მინული ზედა სართულები აქვთ, ლენინგრადელი მხატვრების სა- ხელოსნოებია. ის კიდევ ორგზის ბაბჭოთა კავშირის გმირთა ხეი- ვანია. ამ შენობაში წელიწადში ორჯერ ბეწვეულის აუქციონი ეწყობა. აქ ჩამოდიან მსოფლიოს თითქმის უველა ქვეყნის კომერ- სანტები ჩვენებური ბეწვეულის შესაძენად. აქ კი ბადაევის სა- ხელობის სასურსათო საწყობე- ბი იყო. ბიტლერმა თავის მფრინა- ვებს საგანგებო დავალება მისცა ამ საწყობების დასანგრევად.

— დაანგრიეს?

— ტიალად აქციეს, ბოლოს კი მაინც თვითონ ატიალდნენ.., ეს არხი...

და ლენინგრადელი კაცი სია- მოვნებით მაცნობდა პეტრეს- დროინდელ საარტილერიო სას- წავლებელს, პეტრე-პავლეს ციხე- სიმაგრის ამბავს, საადმირალო შპილს, ნაპოლეონზე გამარჯვე- ბის ობელისკს, გრიბოედოვის არხს, ფონტანკას, ნევკას და ნე- ვას, გასახსნელ ხიდებს, ზამთრის სასახლეს, ერმიტაჟს, პარკებს, გამზირებს, ნევის პროსპექტს, თივის მოედანს, მშვიდობის მოედნად რომ დაკანონებულა დღეს, ისაკის ტაძარს, ცხენზე ამხედრებული ნიკოლოზ უანდარ- მის შესანიშნავ ქანდაკებას, ჭკვიან ადამიანებს პეტრე დიდის დიად ქანდაკებასთან ერთად რომ შე- მოუნახავთ როგორც დიდი ხელო- ვნების ბრწყინვალე ნიმუში. მაც- ნობდა ჭალარამორეული მაშვრა- ლი ჭეშმარიტად დიდებული ქა- ლაქის საჩინო ნაგებობებს, ზვია- დად რომ დგანან რუსეთის სი- დიადის ისტორიულ სამხილე- ბად, უველა ლენინგრადელის, უველა ჩვენგანის საამაყოდ, სა- ბჭოეთის ნახევარსაუკუნოვანი იუ- ბილეს დღეს კეკლუცად მორ- თულ-მოკაზმულნი, მაცნობდა და ხიამაყით თვალები უბრწყინავდა.

— ლენინგრადი 100 კუნძულ- ზეა განლაგებული, ქალაქსა და ოლქში 586 ხიდია, რომელთაგან 284 გასახსნელია. ნევის საერთო სიგრძე 74 კმ-ია, ლადოგის ტბი- დან ფინეთის ყურემდე. აქვე შე- დის დიდი ნევკა, მცირე ნევკა. უველაზე ღრმა ადგილი 21 მეტ- რია, უველაზე მეჩხერი 4 მეტ- რი. უველაზე განიერი ნევა 800 მეტრია ბაზაფხულო ბაღთან, სადაც პეტრე I თავისი პატარა სახლიდან ნევას გადასცურავდა ხოლმე ბაზაფხულო აგარაკზე გზადმიმავალი. აგერ ის მუსულ- მანური მეჩეთი დღესაც მოქმე- დებს.

„არა, ეს ამას გულით იქმს, ეს ბევრთაგან განსხვავდება. საერ- თოდაც, იქნებ, ვცდებით, როცა უველას ერთი საზომით ვზო- მავთ".

კიროვის გამზირზე საბჭოთა რესპუბლიკების გერბები არის გამოკიდებული, ხეივანივით გაუ- მართავთ მთელ სიგრძეზე. რუ- სეთის, უკრაინის, ბელორუსიის... აგერ ჩემიც, ჩემი საქართველოს სიმბოლო! ალმები, დროშები, ტრანსპარანტები... ახალ წელი- წადსა და ნახევარ საუკუნოვან იუბილეს ერთად ზეიმობს რუსე- თის წარსულის მშვენება, ისტო- რიის მუზეუმი, რევოლუციის აკ- ვანი, საბჭოეთის თავანკარა სა- თავე, პროლეტარიატის მედრო- შე, ქალაქი-გმირი, ქალაქი-მაშვ- რალი, მგზნებარე, მოაზროვნე და მოქალაქე.

— საით მივდივართ? — თავში საკითხავი ბოლოს იკითხა ჩემმა მეგზურმა.

— გორკის თეატრში.

— ჰო-ო! აქ რაღაც ქართული პიესის პრემიერაა დღეს... დამა- ჯიწუდა.

— „ხანუმა".

— ჰო, ჰო, „ხანუმა". ჯერ რომ ადრეა?

და. ოჯახში ორი ენა თანაბრად სუფევდა — ქართულიც და რუსულიც. იმიტომაც ერთნაირად ფლობენ ორივეს გოგიცა და ნა- თელაც, თბილისში რომ შეეძინათ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს.

— თბილისში გერმანული სკოლა დავამთავრე, ზაფხულო- ბით პაპაჩემთან მივდიოდი სო- ფელ ფლავში — მშობლიურ სო- ფელში გადასახლდა, სკოლას ხე- ლმძღვანელობდა. პაპატაანთ გო- გი ჩამოსულაო — და დილიდან დაღამებამდე სოფლის გოგო-ბი- ჭებში ვიყავი. ვაშლიც ბევრი მო- მიპარავს და ატამიც, თეატრო- ბანაც ხშირად გვითამაშია. ის სოფლის ხანა უწმინდეს მოგო- ნებად შემომრჩა.

— თეატრობანიდან თეატრში როგორ მოხვედი?

— ჯერ რუსულ მოზარდში და- ვდიოდი მაყურებლად, იქვე, ჩვე- ნი სახლის გვერდით იყო. მერე მარჯანიშვილის თეატრშიც შევდ- გი ფეხი. მზის დაბნელებასა და ურიელს არაფერი მერჩია. მარჯა- ნიშვილი ვიწამე ღმერთად.

საწერ მაგიდასთან ჩამოკიდე- ბულ სანდრო ახმეტელის სურათს შევხედე, მზერა დაიჭირა, უსი- ტყვოდ მიმიხვდა სათქმელს.

— ცოტა რომ წამოვიზარდე, რუსთაველის გამზირზეც გავბედე ასვლა და ისევ თეატრში ამოვ- ყავი თავი. „ანზორმა" და „ინ ტი- რანუხმა" მომაჯადოეს, ახმეტე- ლი მეორე ღმერთად დავისახე და მას შემდეგ, სადაც უნდა ვიყო, ეს სურათი თან დამაქვს როგორც ჩემი ქართველობის სანუკვარი სამხილი, როგორც ნიშანი იმი- სა, რომ მე ქართულმა თეატრმა მოშიყვანა თეატრში. თბილისი და საქართველო ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკეა, ჩემი წარსულია, ლენინგრადი სიმწიფე და აწმყო.

— მომავალი?


— მომავალს ცხოვრება გვიჩვე- ნებს.

— რომელი უფრო გიყვარს?

— ვის რა უყვარს, ვისთვის რა არის ძვირფასი. ერთნი წარ- სულით ცხოვრობენ, მეორენი აწმყოთი, მესამენი მომავლით — ბუტაფობა, მაინც ასაკი მართავს უველა დროისა და უამის სიყვა- რულს.

სკოლის დამთავრების შემდეგ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მივიდა მსახიობად და რეჟისო-

(დასასრული მე-6 გვ.)



ხუროთმოძღვრება: სცენები ალექსანდრე ცაგარელის პიესიდან „ხანუმა". თავადი ვანო ფანტიაშვილი — რსფსრ სახალხო არტისტი ვლადისლავ სტრუელჩიკი და მიკიჩ კოტრიანცი — რსფსრ სახალხო არტისტი ეფიმ კოპელიანი (მარჯვნივ); „თბილისური ბაზარი".



ქვეყნის პირველი რეჟისორი

(დასასრული)

რის ასისტენტად. მერე მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა სარეჟისოროზე, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ალექსეი პოპოვი და ანდრეი ლობანოვი.

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისევ ჩემს თბილისს მივუბრუნდი, გრიბოედოვის თეატრში დავიწყე რეჟისორობა, თან თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ვასწავლიდი.

იქ მან ქართული თეატრის ბევრი სახელოვანი ამაგდარის აღზრდა-განსწავლას დასდო ღვაწლი. თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე, სახელოვანი მსახიობები მედეა ჩახავა, სალომე უანჩელი, გიორგი გეგეჭკორი... რეჟისორები მიხეილ თუმანიშვილი, თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე...

1946 — მოსკოვის ცენტრალური საბავშვო თეატრი, დამდგმელი რეჟისორი. 1949-1956—ლენინგრადის ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი. 1956 წლიდან დღემდე კი გორკის სახელობის ლენინგრადის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი აკადემიური დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს, უზბეკეთის, სლოვაკიის, პოლონეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — „ქვეყნის პირველი რეჟისორი“.

— იქნებ გვესადილა?

— იყოს ნება შენი, მიმასპინძლე.

— ლენინგრადში ბევრი კარგი რესტორანი გვაქვს. მაგრამ „ბაქო“ უყვარს მირჩევნია.

— ?

— „ბაქოში“ ცოცხალი ქინძი, ობრახუში და ბოლოკი იცით, კერძებიც ჩვენებურს ჰგავს. ფლავი მაინც... დედაჩემისეულ შილაფლავს მაგონებს, ტყუილად კი არა ვარ ფლაველი.

აქაც სიყვარულით მიიღეს, მოკრძალებით ესმახურნენ, ფლავიც მოგვიტანეს და „გურჯაანიც“ დაგვიდგეს.

— ეს კიდევ ჩემი სოფლისაა, დაბადების ადგილად გურჯაანი მიწერია პასპორტში, ბევის უბანი.

— ჰოდა, რით არა ვართ საქართველოში!

— ბიჭები რასა იქმიან.

— სანდრო აქვე მუშაობს რეჟისორად. ამასწინათ ვარშავაში სპექტაკლი გაკეთა, ნიკო ლენინგრადის საოლქო თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგეა.

ბიჭები დედის მხრივ ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სანდრო ყანჩელის შვილიშვილები არიან.

— „ხანუმას“ დადგმით შინიდან უხეირო ხომ არ გამოგაქვს, გოგი? ამ კეთილშობილურ ქალაქში, იქნება, სხვა ქართული პიესის დადგმა სჯობდა? ვინ იცის, როგორ გაიგოს მაყურებელმა.

— პიესის გაგება დამდგმელის ნება და უნარია. მე სხვა გასაღები მივურგე და ნურაფერი გენაღვლება. მუსიკა გია ყანჩელია, მხატვრობა იოსებ სუმბათაშვილისა, ცეკვები დადგა თბილისელმა ზარეცკიმ, მთელი თავისი სიცოცხლე ქართულ ბალეტს რომ უტრიალებს. ისე რომ, ნურაფერი გეფიქრება.

... თეატრის შენობაც რომ მიაგავს ჩვენს რუსთაველის თეატრისას. ხალხით არის სავსე, თავისუფალი ადგილი არსად ჩანს. ჩაქრა სინათლე და ქართული მელოდია მადლიანად მოედო დარბაზს. სცენის სამივე მხარეს, ჭერიდან იატაკამდე, ჩამოშვებულია ვეებერთელა ტილოები, რომლებზეც სუმბათაშვილის ნახელავი ფიროსმანაშვილისეულ რეპროდუქციას გვაგონებს.

ოდნავ განათებულ სცენაზე მოხდენილად, თავისებური გააზრებით გამოდიან თბილისური კოლორიტის პირველი მოციქულნი — კინტოები, რომლებიც სამო სანელებელივით ჰკაზმავენ მთელ სპექტაკლს.

ქართული ენამახვილობა, მეცხრამეტე საუკუნის თბილისური სურათები, ავლაბარი, ორბელიანის აბანო, ბაზარი, თავადის ბაღი თუ ვაჭრის სახლ-კარი ერთიან, ჩვენებურ ატმოსფეროს ჰქმნის ნევის ქალაქის ხელოვნების დიდ ტაძარში.

შესანიშნავი ლიტერატურული მასალა, რუსულად გადატანილი ქართულის მადლიანი ტექსტი, ოდნავ შესამჩნევი თბილისური კილო, მსახიობთა ჭეშმარიტად დიდოსტატურად შერჩეული კოლექტივი, მერე კი კონდიციამდე დახვეწილი ბრწყინვალე თამაში, რომელშიც ყველა დაუზოგავად აქსოვს თავის ნიჭსა და ტალანტს, მაქსიმალურად იყენებს მსახიობური ოსტატობის ყოველ ნიუანსს. სცენის ერთობლივი მაღალი კულტურა, სწორად მიგნებული ტაქტი, რეჟისორული პასაუები თუ დეტალები, კოხტად გამართული ცეკვები, ზეიმივით მორგებული ლაღი სიმღერები ნამდვილი სიხარულის ატმოსფერს ჰქმნის თეატრში. მაყურებელსა და მსახიობებს შორის იჭიმება გამაერთიანებელი სიმები, გაგების, სიყვარულისა და პატივისცემის სიმები.



სურათზე: ხანუმა — რუსეთის სახალხო არტისტი ლიუდმილა მაკაროვა — და აკოფა — რუსეთის დამსახურებული არტისტი ნიკოლოზ ტროფიმოვი.

შეგადაშიგ, როცა კინტოები რამდენიმე გაახლებულ ყაიდაზე ცეკვავენ, რაიც სულაც არ არღვევს მათთვის დამახასიათებელ პეწს, მიკროფონში გაისმის გიორგი ტოვსტონოგოვის ხავერდოვანი ხმა, ომახიანი ხმა ჭარმაგი კაცისა, რომელიც მადლიანად კითხულობს გრიგოლ ორბელიანის შუხამბაზის რუსული თარგმანის ნაწყვეტებს. და ამ თარგმანში ისევე, როგორც ყველა ლექსში სულაც არ იკარგება ქართული სიტყვებისა და ლექსის მადლი.

ტაშს უკრავს, გულიანად იცინის მაყურებელი და ამ აღფრთოვანებაში დაცინვა კი არა, კეთილი, სასიამოვნო სიცილია ენამახვილობით, ტაქტით შესრულებული მსახიობური ილეთებით აღფრთოვანებული მაყურებლისა, რომელსაც სჯერა ავტორისა, რეჟისორისა, მსახიობისა, მხატვრისა და კომპოზიტორისა, სჯერა, მოსწონს და ტაშს უკრავს.


ჭეშმარიტი დიდოსტატობით ასრულებენ თავიანთ როლებს: რუსეთის სახალხო არტისტი ლიუდმილა მაკაროვა, რომელმაც შექმნა ჭკვიანი, მარჯვე და კეთილი ხანუმას დახვეწილი, შთამბეჭდავი და სასიამოვნო როლი; რუსეთის დამსახურებული არტისტის ვალენტინა კოვალის ჭაბატო ტოლს არ უდებს მაკაროვას ხანუმას; რუსეთის სახალხო არტისტი ვლადისლავ სტრუელჩიკი ბრწყინვალედ ჰქმნის თავად ვანო ფანტიაშვილის კეთილი, დარდიმანდი, ხაზრიანი, მაგრამ უქნარა კაცის სახეს, იერით, გარეგნობით, გამომეტყველებით, ჭკეცვითა და მიხვრა-მოხვრით ქართველ თავადისგან რომ ვერ გამოარჩევდა ვერც ერთი „ქნეინა“; რუსეთის სახალხო არტისტი ეფიმ კოპელიანი ნამდვილი თბილისელი ვაჭარია, ქართველ თავადთან დამოყვრება ცხოვრების მიზნად რომ გაუხდია, იმ კაცის განსახიერებაა, რომელიც სავაჭრო კაპიტალის მოციქულად მოევლინა მე-19 საუკუნის თბილისს და მზად არის ყველაფერი გააკეთოს, ოღონდ კი ქართველობაში გაერიოს; მას მართლაც რომ გვერდს უმშვენებს მისი „პრიკაზჩიკი“ აკოფა—რუსეთის დამსახურებული არტისტი ნიკოლოზ ტროფიმოვი, საზრიანი, კეთილი, ერთგული და მარჯვე თბილისელი სომეხი. რად ღირს რუსეთის დამსახურებული არტისტის ოლგა დროზდოვას, აკოფას დედის, თუნდაც ერთი ყუსტი, როცა ის კოტეხთან ცეკვის დროს ხელის მოსაკიდ ადგილზე მიუნიშნებს ახალგაზრდა და ნიჭიერ გენადი ბოგაჩევს. ხელზემოსამსახურე ტიმოთეს ნამდვილად ბრწყინვალე სახეს ჰქმნის ვსევოლოდ კუზნეცოვი. სასიამოვნო ოსტატობით გამოირჩევა ალიტა შკომოვას კინტო, ელენე ალექსეევას სონა...


მსახიობთა შრომის სიყვარულმა, დახვეწილმა ოსტატობამ, მაღალმა სცენურობა კულტურამ, ბრწყინვალე რეჟისორულმა გააზრებამ, მუსიკალურმა სილაღემ, მხატვრულმა გემოვნებამ ნევის ქალაქში ახალწლის ღამეს მართლაც შეჰქმნეს ძმობის, ერთობისა და სიყვარულის ის სპექტაკლი, რომელმაც საახალწლო ღამეს ღირსეულად დაამშვენა ამ ბრწყინვალე თეატრის მიერ საბჭოთა კავშირის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წვლილი...

31 დეკემბრის ღამის 11 დამთავრდა სპექტაკლი. ერთ საათში ახალი წელიწადი მოდიოდა, ჩვენში კი უკვე მოსულიყო. ბედნიერი სიხარულით შევუურებდით მე და იქ დამსწრე ბევრი ქართველი აღფრთოვანებულ მაყურებელს, რომელთაგან, ვინ იცის, ვინ სად ცხოვრობდა, ვეება ლენინგრადის რომელ კუთხეში მიიჩქაროდა ახალი წლის შესახვედრად, მაგრამ მაინც უფორიაქოდ უხდიდა ხარკს დიდი ხელოვნების მიერ გონივრულად შექმნილ და ოსტატურად აღზრდილ ამ შესანიშნავ კოლექტივს, ტაშს უკრავდა ქართული სიყვარულის, სილაღის, ნიჭის გამოვლინებას რუსულ სცენაზე. ვიდექი და ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ გიორგი ტოვსტონოგოვს — ფლაველ ბიჭს, ლენინგრადელ დიდოსტატს, „ქვეყნის პირველ რეჟისორს“ დღესაც ისევე, როგორც ყოველთვის, მართლაც საკუთრივ მისეული გასაღები ეპოვა ძმათა-ძმობის აღზევებისა და აღმაფრენის თეატრალურ საკურთხეველზე...

გივი კარბელაშვილი

ლენინგრადი.





სურათებზე: ზემოდან — გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი; სპორტული ნაგებობანი, რომელიც ყოფილი რიყის ტერიტორიაზე გაშენდება.

აშენდება 1973 წელს

მესამე წელიწადი მიიწურა თბილისის გენერალური გეგმის დამტკიცებიდან... დადგა ახალი, 1973 და, როგორც ყოველთვის, თავისთავად დაიბადა კითხვათა წყება — რა გააკეთეს თბილისელმა მშენებლებმა განვლილ 1972 წელს, რა შეემატა ჩვენს ქალაქს, გენერალური გეგმის რა ნაწილი განხორციელდა, რა გააკეთეს თბილისელმა არქიტექტორებმა იმისათვის, რომ 1973 წელს მშენებლები უზრუნველყოფილი იყვნენ საპროექტო მასალით, მათი რომელი ჩანაფიქრი შეისხამს წელეულს ხორცს?

თუ რა გაკეთდა ჩვენს დედაქალაქში 1972 წელს, პასუხს ყველა თბილისელი გაგვცემდა, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ არქიტექტორების შრომა, შემოქმედებითი სფეროს სხვა წარმომადგენელთაგან განსხვავებით, ყველაზე თვალსაჩინო და მასშტაბურია თავისი შედეგით, არამედ იმიტომაც, რომ უბრალოდ, ძნელია არ დაინახო ის გარდაქმნები, ის გრანდიოზული ღონისძიებანი, რაც ბოლო ხანებში ჩვენს გარშემო ხორციელდება...

1973 წელს გაგრძელდება სამშენებლო სამუშაოები გლდანის საცხოვრებელ მასივში. აქ აღიმართება ახალი 9 და 16-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, აშენდება ყველა ტიპის მომსახურების დაწესებულება: სკოლები, საბავშვო ბაღები, სამედიცინო დაწესებულებები, მაღაზიები... გლდანის საცხოვრებელ მასივში, რომელიც 745 ჰექტარზე გადაიჭიმება, 147 ათას კაცი იცხოვრებს. ძალზე დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდება ფონიჭალის (ყოფილი სოღანლუღი) ახალ სამრეწველო-საცხოვრებელ რაიონში, რომლის პირველ კორპუსებს სწორედ წელეულს ჩაეყრება საძირკველი. ამ ახალი რაიონის საცხოვრებელი ზონა, რომელსაც 203 ჰექტარი უჭირავს, 51 ათას მობინადრეზეა გათვალისწინებული.

გაგრძელდება და დაიწყება ცალკეული ახალი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა.

ფართოდ გაიშლება სამუშაოები უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობაზე.

დაიწყება დიდი სამედიცინო კომპლექსის მშენებლობა ავშნიანში.

საახალწლო საუბარი

დამთავრდება პროფკავშირების სახლი ვაჟა-ფშაველას გამზირზე.

ყოფილი რიყის ტერიტორიაზე დაიწყება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა.

ექსპლუატაციაში შევა ახალი 275-მეტრიანი სატელევიზიო ანძა.

გაგრძელდება ცენტრალური უნივერსალური მაღაზიის და ცენტრალური ტელეგრაფის მშენებლობა რუსთაველის გამზირზე.

ჩატარდება გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული პირველი რიგის სამუშაოები.

გაგრძელდება მეტეხის ქვეშ გვირაბისა და მის გაგრძელებაზე ესტაკადის მშენებლობა.

ახალი სადგურები შეემატება თბილისის მეტროპოლიტენს.

უახლოეს ხანებში ექსპლუატაციაში შევა ქალაქის ცენტრალური ავტოსადგურის შენობა.

წლეულს პირველი შეჯიბრებები უნდა გაიმართოს „დინამოს“ ახალ სტადიონზე, რომელიც 80 ათას მაყურებელს დაიტევს...

შენდება და მშვენდება საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დედაქალაქი. ირღვევა ბუნების კიდევ ერთი კანონზომიერება — წლები ჩვენს ქალაქს ვერ აბერებს — ჩვენი ქალაქი დღითიდღე ახალგაზრდა ხდება.

ზოთა ყავლაშვილი,

თბილისის მთავარი არქიტექტორი



ცენტრალური ტელეგრაფი რუსთაველის გამზირზე.

სპორტი-1972



ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეები ოლ ნონა და ნანა



ორი ოლიმპიადის ჩემპიონი ვიქტორ სანეევი



საბჭოთა კავშირის პირველი და მეორე ჩოგანი ალექსანდრე მეტრეველი (მარცხნივ) და თეიმურაზ ბაბულია



მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ძიუდოისტი შოთა ჩოჩიშვილი

გაზაფხულის ბოლოს ჩვენ ვიყავით ერთ-ერთ ქალაქში, სადაც ჩვენი ფეხბურთელები ეთამაშებოდნენ ადგილობრივ გუნდს. ტრიბუნაზე ვიჯექით ჩვენ და ადგილობრივი ფეხბურთის მოყვარულები. ჩვენ ვუყურებდით თამაშს, ისინი — ჩვენ. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა:

— ეს ბიჭები ნამდვილად ისეთი ძლიერები არიან, როგორც ამბობენ?

— ალბათ, — ვუპასუხე.

— ალბათ? — გაიკვირვა მან. — ეს ხომ ნიშნავს, რომ თქვენ არ იცით?

— ვიცი, — ვუპასუხე, — მაგრამ ეს ბიჭები ჩვენ ვერ ვნახავთ ხშირად. ისინი ხშირად თამაშობენ საზღვარგარეთ.

— ეს ბიჭები ნამდვილად ისეთი ძლიერები არიან, როგორც ამბობენ, — ვუთხარი მე.

— ალბათ, — ვუპასუხე.


— ალბათ? — გაიკვირვა მან. — ეს ხომ ნიშნავს, რომ თქვენ არ იცით?

— ვიცი, — ვუპასუხე, — მაგრამ ეს ბიჭები ჩვენ ვერ ვნახავთ ხშირად. ისინი ხშირად თამაშობენ საზღვარგარეთ.

ეს დიალოგი ორჯერ განმეორდა. ორჯერ ვუპასუხე ერთნაირად. ორჯერ ვიგრძენი, რომ ჩემი პასუხი ორივეჯერ ნაკლებად დამაჯერებელი იყო. ორჯერ ვიგრძენი, რომ ჩემი ნათქვამი ნაკლებად ეხებოდა ჩემს ბიჭებს, ვიდრე ჩემს თავს.

ეს ბიჭები ნამდვილად ისეთი ძლიერები არიან, როგორც ამბობენ. ეს ბიჭები ნამდვილად ისეთი ძლიერები არიან, როგორც ამბობენ. ეს ბიჭები ნამდვილად ისეთი ძლიერები არიან, როგორც ამბობენ

თოვლის პაპა თბილისის ქუჩებში



ამბობენ, ახალი წელიწადი ყველასათვის ერთნაირი დღესასწაულიაო, მაგრამ ბავშვებისათვის მაინც სულ სხვაგვარია. ამ დღეებში სიჩუმე გამეფებულა სკოლის დერეფნებში. ბავშვთა ბედნიერი სიცილ-კისკისი კი საზამთრო კურორტებზე, გამაჯანსაღებელ ბანაკებში გაისმის. მაგრამ ვინც შინ დარჩენა არჩია, არც ისინი დაუტოვებიათ უყურადღებოდ. საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში, დედაქალაქის ყველა სასახლესა, კლუბსა და თეატრში ემართება საახალწლო ნაძვისხე. ამ ახალ წელიწადსაც საზეიმოდ იყო მორთული დედაქალაქის ქუჩები, ბაღები, სკვერები და მოედნები. მოციმციმე, ფერადი ელექტრონათურებით ჩახჩახებდა გამზირები და ქუჩები, ხეები...

აი, საახალწლოდ მორთული ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ინტერიერში ლამაზად მოკაზმული ნაძვისხე დგას. თოვლის პაპა თავის წვეულთ ეგებება, ახალი წლის დადგომას ულოცავს და საკონცერტო დარბაზისაკენ აცილებს, სადაც ფილარმონიის მსახიობები საზეიმო კონცერტით ეგებებიან ნორჩებს.

ამ დღეებში მარტო ფილარმონია 6.900 ათას ბავშვს მოემსახურა.

...ესე იყო ყველგან, ყველა თეატრსა თუ კლუბში გამართულ საზეიმო ნაძვისხეზე. მაგრამ ბავშვებს ყველაზე მეტად ცირკში გამართულ საახალწლო ნაძვისხეზე მიუწევდათ გული, აქ თოვლის პაპასთან ერთად ხუმარაც ულოცავს ახალ წელიწადს და დათუნია დრუნჩაც, კურდღელიცა და ვეფხვებიც კი.

საახალწლო ნაძვისხის გარდა, მოსწავლე ახალგაზრდებისათვის დრამატულ, მუსიკალურ თეატრებსა და საოპერო თეატრშიც დღის წარმოდგენები იყო გამართული.

ეწყობოდა ტურისტული სვლები, საინტერესო ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში.

საზამთრო არდადეგების შინაარსიანად და საინტერესოდ გატარების შემდეგ გახალისებული და გაკაჟებული ბავშვები 11 იანვარს დაუბრუნდნენ სკოლას.

კუკური გოგიაშვილი

ბედნიერად გაგვითენდეს!

გოგონებო, ჭაბუკებო, განთიადი
და ცხელი მზე
თქვენს მომავალს ნათელს ჰფენდეს,
ჯანმაგარი, მხნე ახალი წელიწადი
ბედნიერად გაგვითენდეს!
ბეჯითებო, თქვენი მაჯა, თქვენი გული
ჩვენი ხალხის სასიკეთოდ მუდამ სცემდეს.
დავაჟკაცდით ჩვენი ქვეყნის სიყვარულით,
ბედნიერად გაგითენდეთ!
ყმაწვილებო, სიმღერები მოხდენილად
თქვენს გულებში,
თქვენს ოჯახში მარად ჟღერდეს,
თქვენთან ერთად ახალი წლის ტკბილი დილ
ბედნიერად გაგვითენდეს!
მეგუულებით ერთგულები, ყოჩაღები,
ყოველ საქმეს
ვაჟკაცურად მუდამ სძლევდეთ.
დე, ყოველი სიხარულის წელიწადი
ბედნიერად გაგითენდეთ!

მაყვალა მრევლიშვილი

საახალწლოდ

„ტუ-104“ აფრინდა,
ჩვენს კარებთან დაფრინდა,
მოგორავენ კასრები
საახალწლო თაფლითა.
უჰ, რამდენი მგზავრია,
დეპეშებსა გზავნიან;
— შინ არავინ არ დარჩეს,
შევეგებოთ ახალ წელს!
შვეულმფრენით სტუმრობა
ნუ გგონია ხუმრობა,
მეკვლედ არის სპილო და
მტრედი უზის პილოტად.
გადმოიღო ხორთუმით
ჩიჩილაკი მორთული.
დააბიჯებს აქლემი,
დაამტვრია კაკლები,
სულ რვაასი ტომარა,
არც მეტი, არც ნაკლები.
დაჭდა ციყვი ფრთხილი,
დაარჩია თხილი.
ფასკუნჭებმა ჩურჩხელები
ჩამოზიდეს ზვივიდან,
სირაქლემა ჭაგნებს ზიდავს
საბაგირო გზებითა.
ლეღვის ჩირით, ტკბილი კვერით
ჩვენკენ დაქნეს ბილიკები:
დათვმა — თაფლი,
წავმა — წაბლი,
ზღარბმა — ვაშლი,
მელამ — ნუში,
შოშიებმა — ფელამუში.
ჭივჭავებმა მოიმარჯვეს
დაირა და სალამური,
გიტარა და გუდასტვირი,
როიალი საამური,
ჭრიჭინებმა — ჭიანურა.
ლხინი იყოს მხიარული!
კაჭკაჭებმა დახტიან
ჭრელაჭრელა კაბებით,
გოზინაყი მოხარშეს
საარაყე ქვაბებით.
კვერნები და ციყვებიც
ტრიალებენ ციცხვებით,
მოგოგმანობს ციცარი,
მოაქვს ცომის ფიცარი.
მოტოციკლით მელიამ
მობრძანება მახარა:
— მოვუტანე ჩიტუნებს
დიპლიპიტო — ნაღარა...
ტუუილებს კი, დღეიდან,
აღარ ვიტყვი, აღარა!
პაწაწინა ხელადა
დატრიალდა ხელადა,
ჯამზე ჭამოპირქვავდა,
ტკბილად ჩაამღერა და
უურძნის წვენით ავსთო
სტუმრის მოსალხენადა.
ორასოცი სანთითი
ჩჰარობს თუთიყუში.
დამანახა საათი,
ჩამომჭყივლა უურში:
— სმენა იყოს, გაგონება!
— რას იძახი, თუთი?
— ახალი წლის მოსვლამდე
დარჩა ხუთი წუთი!
დათვმა თაფლი ადუღა,
დაგრიხა და გაწელა.
უველა ბავშვის სახელი
ტკბილეულით დაწერა,
ზოგი მტრედმა გაწელა,
ორი სიტყვა დაწერა.
ამა რას წერს მტრედი?
„ტკბილად დამიბერდი!“
— გუ-გუ!
გუ-გუ, —
გუგულმა
ამა ვნახოთ, რაღას წერს:
„დაესწარით ბავშვებო,
მრავალ,
მრავალ
ახალ წელს!“
ფეხზე ადგა სპილოცა:
— ტკბილ ახალ წელს გილოცავთ!

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

— აი, მეც აქ გახლავარ!

შემოაჭრიალა კარი ფიხმაღალმა ყარყატმა და უშველებელი ნისკარტი სასაცილოდ მიატრიალ-მოატრიალა.

— აბა, წავიდეთ! რა გაკვირვებით მიცქერი, დაგავიწყდა, განა? ამ სიტყვებით ყარყატმა კოხტა ქუდი მოიხადა და კვლავ შეუცითხა:

— ვიღარ მიცანი?

— ჰო, როგორ არა, შენ ის არა ხარ?

და სახეგაბრწყინებულ ბავშვს თავისი სკოლის ნაძვისხე გაახსენდა. სათამაშოებით მორთული ნაძვი, გუშინ მზესავით რომ ბრწყინავდა, მაგრამ ყველაზე ძლიერ მაინც იღლიაში წვრილ-ამოდებული, ქუდიანი ყარყატი მოეწონა.

— ჰო, რად გიკვირს? — თქვა ყარყატმა. — მეც ძლიერ მომეწონე, შენთან მოვედ, მინდა გუშინდელი ნაგრძნა აგისრულო. აბა, წამოდი!

გურამს გაუკვირდა, ყარყატი ისე ელაპარაკებოდა, თითქოს იმაზე ჰკვიანი იყო...

— სად? სად წამოვიდე? — გაკვირვებით შეუცითხა, თან სიცილისაგან თავს ძლივს იმაგრებდა ყარყატის ჩამოგრძელებული ცხვირის მაცქერალი.

— სადა და იქ, სადაც შენ გსურდა. აბა, ფანჯარაში გაიხედე.

გურამი ფანჯარასთან სწრაფად მივიდა და გაიხედა.

— დიდა, დიდა რა ამბავია! — წამოიძახა ბავშვმა და ფანჯარას თვალი ვეღარ მოაშორა. ქვემოთ, მოედანზე, მართლაც დიდი ამბავი დაგხვედრიაო: სადაც კი მართული ნაძვისხეებზე სათამაშოები ენახა, ყველა გურამის სახლთან მოსულიყო. პირველ რიგში ჯოხზე დაბჯენილი თოლიის პაპები იოანან და თორად ბრწყინავდნენ. სპილოები, დათვები, ლომაზი თეთრი გედები, ათასნაირი ჩიტები, მორთული აქლემები... ვრთი სიტყვით, ყველას, ყველას თავი აქ მოეყარა.

გურამის დანახვაზე სათამაშოებმა ფანჯრისკენ გაიშვირეს ხელი და ერთხმად შესძახეს:

— ვაშა, გურამ, ხედავ, შენი სურვილის შესასრულებლად მოვედით და შენს გაჯარგულებას ველით!

გურამი სიხარულით კინაღამ ატირდა, ყარყატი კი ღიმილით შესცქეროდა.

— აბა, წავიდეთ, გურამ! — უთხრა ყარყატმა, — აგერ შენი თვითმფრინავი, გარეთ გიცდის.

გურამი მოტრიალდა, გააღო კარი და რას ხედავს: გუშინ საღამოს სკოლაში რომ საჩუქრად ლამაზი თვითმფრინავი ერგო, ის იდგა. კიდევ უფრო გალამაზებულიყო, გადიდებულიყო, პროპელერი გურამის გულივით უთრთოდა და ბავშვს იპატიჟებდა: აბა, გურამ, დაბრძანდი, რომ ნიავქარივით ის გაგაჭროლო, სადაც გუშინ ყოფნა ინატრე.

გაახსენდა გურამს ნანატრი ამბავი, თავზე ქუდი ურიბ დაიხურა და ყარყატს მოუტრიალდა:

— აბა, წავიდეთ!

როცა გურამი და ყარყატი კიბეზე ჩადიოდნენ, მბზინავმა ავტომანქანამ კარი თავისით გააღო და ტკბილად უთხრა: აი, გურამ, შენ რომ სათამაშოები ისე ძლიერ გიყვარს და უნდა, ჩვენც ამიტომ გვიყვარხარ, ისე გვიყვარხარ, რომ ყველაფერს შეგისრულებთ, აბა, დაბრძანდი!

გურამი მშვენიერ მანქანაში ჩაჯდა და კარი მიიჯახუნა. ავტო დაიძრა, სათამაშოები აედევნენ გურამს და ტყისაკენ გაეშურნენ. აგერ ნაძვის ტყიც გამოჩნდა. ყველას თითქოს ფრთები გამოესხა. გაქანდნენ და შტოებზე ჩამოკიდნენ. მთელი ტყე ერთ წამს მშვენიერი სათამაშოებით მოირთო და ელნათურებით გაბრწყინდა.

— ჰო, ნეტავ სად ვნახე, უწინ სად ვნახე ეს მორთული ნაძვის ხე? — ფიქრობს გურამი და შუბლზე ხელს ისვამს.

— სადა და რუსთაველის გამზირზე! გახსოვს, შენ რომ ინატრე, ნეტა მთელი ნაძვის ტყე ასე მორთული მაჩვენაო, აი ეს ნატვრაც შეგისრულდა. ხომ ჯარაია? — შეეკითხა ნაძვის მწვანე ხასხასა წიწვებში მზესავით აბრწყინებული დიდი ბზრიალა. გურამი ისე იყო აღტაცებული, რომ მასზე ბედნიერი ქვეყნად არავინ ეგონა. ყარყატმა შეამჩნია მისი სიხარული და უთხრა:

— იმედენე, გურამ, იმედენე, მთელი ტყე აგყვება...

გურამმა სიმღერა შემოსძახა. ტყემ აგვაყუნდა. ბავშვი უფრო აღფრთოვანდა, ხელი დაიქნია და ტყის ანიშნა. ხმას უფრო აუმაღლეთო. თვითონაც ისე ხმამაღლა მღეროდა, რომ შინაურები შეკრთნენ წამოვედიდნენ და გურამის საწოლს შემოერტყნენ. ეგონათ, ბავშვს რამე ასტკივდა და იმიტომაც ხმაურობსო. მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ გურამი ტკბილ სიზმარს ხედავდა და ხალს კარგი ლოკბა-ზივით იმიტომ ეძინოდა

ანა ხახუტაშვილი

სიზმარი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.